ДРОЕБА

ГАЗЕТА ОДИН РАЗ В НЕДЕЛЮ ПО ВТОРНИКАМ.

РЕДАКЦІЯ

Гологовинской проспектъ въ домѣ Мухранскаго князя въ Тифлисѣ, въ домѣ клуба.

Ходъ-Моѣ Ура

Принимается въ Тифлисѣ «Дроеба» редакціяшы, Тифлисъ: Чилаевъ книжный магазинъ. Гарешу мцхомарбтаа адресъ: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«Дроебаис» ფასი

Тоелисъ წელსა. . 9 მ. | Самисъ თვისა. . . 3 მ.
Ехвсисъ თვისა . . . 5 მ. | Ертисъ თვისა. . . 1 მ.

ფასი განცხადებისა

Дидисъ асобитъ, асозе ерти кавеши. Асо мтавруліт асозе нахевари кавеши ривулебрівсъ асоти стрічонзе ривулебі. Тоу саціроеба моитховсъ, редакціяс гадасцерсъ да шеасмулебсъ дасабечдаді. Кавшіа бавгінсъ церілебсъ. Даубечдели церілебсъ редакціа вер даубрунебсъ авторсъ.

Განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს ერთი შაური

ამ ნომერში ექვსი გვერდია.

რედაქციისაგან.

«დროების» ცალკე ნომრები იყიდება «ივერიის» მაღაზიაში ბულვარზედ.

«Дроеба» პირველის ივნისიდამ წლის დამლევამდე ღირს ექვსი მანათი პირველის იანვრიდამ 1883, ან სხვა თვიდამ ხელის-მოწერა მიიღება მხოლოდ იმ პირობით, თუ ხელის-მომწერნი ზოგიერთ ნომრების მიუღებლობისათვის უკმაყოფილებას არ გამოაცხადებენ, რადგან ეს ნომრები რედაქციაში აღარ არის. ხელის-მოწერა მიიღება მხოლოდ თვის პირველის რიცხვიდამ.

ვთხოვ ქალაქის ხელის-მომწერლებს, თუ ქალაქს გარედ ვინმე გავა საზაფხულოდ ადრევე შეგეატყობინონ ახალი ადრესი, და 50 კაპ. წარმოადგინონ ადრესის გამოსაცვლელად.

ქალაქს გარეთვლ ხელის-მომწერელთაც სთხოვს რედაქცია უკვეე თვის ადრესის გამოსაცვლელი 40 კ. წარმოადგინონ ხოლმე რედაქციაში.

უმორჩილესად ვსთხოვთ ხელის-მომწერლთ, ვისაც ჯერ ფული არ შემოუტანია, ივნისის 1-მდე შემოიტანონ, თორემ გაზეთის გაგზავნა მოვსთოვ.

ტელეგრამები

მოსკოვი. 20 მაისს. გუშინდელი სადილი კრემლის სასახლეში, რომელზედაც დაესწრენ უწმინდესი სინოდის წევრნი, წარმომადგენელნი უმაღლესი სამღვდელოებისა: მართლ-მადიდებელთა, ქათოლიკებისა, ლიუტერანებისა და სომხებისა; წარჩინებულნი ქალნი და კაცნი. სადილი დაიწყო შვიდ საათზედ საღამოს და გათავდა რვა საათზედ. ხელმწიფის სტოლზედ ისხდენ დიდნი მთავარნი, მთავრინები, ჰრინცები, ჰრინცესები და უცხოეთიდამ მოსული ნათესავები. სუფრა აკურთხა მოსკოვის მიტროპოლიტმა იოანიკიმ.

დილით ხელმწიფე კალიასკით დასეირნობდა ქალაქში უმცველოდ.

საღამოზედ მოსკოვის თავადაზნაურობამ გამართა ბალი. დარბაზები მშვენიერად იყო მორთული ყვავილებით. ერთ დიდ დარბაზში იდგა წითელი მაუდის კარავი მათი დიდებულების მოსასვენებად, იმპერატორი მობრძანდა 10 საათზედ და 25 წამ. კარებში მიეგებნენ გუბერნატორი და თავად-აზნაურთა წინამძღოლნი. რამწამს დარბაზში შემობრძანდა, გაისმა სიხარულის «ура». და სახალხო გიმნი დაუკრეს. იმპერატორმა ჰოლონეზი იცეკვა კნეინა ტრუბეცკოისთან და პირველი კადრილი ერცგერცოგინია მარია ტერეზიასთან. დედოფალმა პოლონეზი და პირველი კადრილი იცეკვა გრაფ მობრინსკისთან და მეორე კადრილი გრაფ შერემეტიევთან.

უმაღლესი მანიფესტი

ჩვენს ქალაქში მხოლოდ დღეს მოვიდა ის მანიფესტი, რომელსაც მოუთმენლად მოელოდენ და რომლითაც ახლად დაგვირგვინებული იმპერატორი მოჰფენს მრავალ წყალობას თავის ქვეშევრდომებზედ და განსაკუთრებით, როგორც ბრძანებს იმპერატორი, ჩაგრულთა და დამშვრალებზედ. პირველი ნახევარი უმაღლესის მანიფესტისა შეუმსუბუქებს, ან სულ აპატიებს ფულის გარდასახადს იმ პირთ, რომელთაც სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო კედარ შეუსრულებიათ თავიანთი მოვალეობა სასელმწიფო ხაზინის წინაშე და მოვალედ დარჩენილან. მაგალითად: ეპატიებათ სრულად მთელ იმპერიაში ის სულზედ დადებული გადასახადი (подушная подать) რომელიც დარჩა და ვერ შემოიტანეს ამ წლის 1 იანვრამდე. ეპატიებათ იჯარა 1 იანვრამდენ, ვისაც მოებში მადნეულება ჭქონიათ იჯარით, თუ ეს იჯარა 50 მანეთს არ აღემატება. აღარ გადახდებათ აგრეთვე ვისაც ხაზინისაგან ჯარიმა დასდებია, ან სარგებლები დასდებიათ აქციზიის შესატანი და მარილისა, რაც ფუთზედ დადებულია. ეპატიებათ შემოსატანი ფული, ვისაც დასდებია გასამჯნავი ბეჯანებისა ამ ხუთი წლის განმავლობაში. აღარ გადახდებათ სხვა-და-სხვა გუბერნიების თავად-აზნაურთ, რაც ჰანსიონერების, რომელნიც სახალხო განათლების სამინისტროს სასწავლებლებში იზრდებიან, შესანახავი ფული დასდებიათ ამ წლის პირველ იანვრამდენ. შემდეგ ჩამოთვლილია სხვა-და-სხვა წოდების პირნი და მთელი წოდებანი რომელთაც დასდებია სასზინის ვალი; აგრეთვე დიდი წყალობა სწევიათ: ატიტრებს, ჩინოვნიკებს და ქვეშევრდომებს, რომელთაც წარსულს ომის დროს თავიანთი ჯამაგირი ან სხვა ფული მეტი გადაჭეოლიათ. იმპერატორი ბრძანებს: ვისაც რა დასდებია აღარ გადახდეთ და ახალი საქმეები აღარავის შეუეკინონ. მეორე ნახევარი უმაღლესის მანიფესტისა შეუმსუბუქებს სხვა-და-სხვა დამნაშავეთ სასჯელს. აგრეთვე კავკასიის მთიელებს, (ლეკებს ჩეჩნებს და სხვათა) რომელნიც რუსეთის გუბერნიებში იყვნენ გაგზავნილნი 1877 წლის აჯანყებისთვის, სრულიად ეპატიებათ თავიანთ დანაშაული და ნება მიეცემათ სამშობლოში დაბრუნებისა.

ყველა დამნაშავეთ, ვისაც ეკუთნის დატუსაღება (арестъ), ან ციხეში დაშეკვეა (заключеніе въ крѣпости) პირადი უფლებების ჩამოუხდელად, ან ჯარიმის გადახდა ოტ-და-ათ ოუმნამდენ; ვისაც ჭბრალდება ყალბი პასპორტების შედგენა, ან სხვის პასპორტით ცხოვრება; ვისაც სატეო წესდება დაურღვევია, ე. ი. ჩუმად გამოუტანია სასელმწიფო ტეიდამ და სხვ. ეპატიებათ თავიანთი დანაშაული, ვისაც ბრალდება დანაშაული, რომელსაც თან მოსდევს სახაზინო ჯარიმის გადახდა და არ შეუძლიან ამის მაგიერ ისინი არ მიეცემიან საზოგადო სამუშაოდ, ვინც რომელიმე დანაშაულისთვის დასჯილია ციხეში ჩასმით ზოგიერთი უფლებების

«დროების» ფელეტონი 22 მაისი.

საკვირაო მასლაათი

კისრული.

«Висяча ჰქონდეს, მიეცეს და მიემატოსო“, ამ სახარების მოკლე აფორიზმში გამოხატულია ღრმა აზრი და დიდი ჭეშმარიტება. სიღარიბეს, გაჭირებას და სევდას რაღაც შინაგანი სიმპატიის ძალით ეკედლება სიღარიბე და გაჭირება; მოლხინე და მოქეიფე თავ-აღებული მიემართება იქით, საითაც ლხინის ხმა ისმის. თუ ერთ-ხელ სადმე სიმდიდრემ და ფულმა დაიბუნაგა, მერე სხვა ფულიც მილდადებულივით იქითკენ მიმდინარეობს და გზას ველარ ახვევინებ. ციდევ შემეძლო მრავალი სხვა მაგალითები ამომეგლიჯა ჩვენი ცხოვრებიდამ იმის დასამტკიცებლად, რომ მსგავსი ყოველთვის მსგავსს ეძებს, მაგრამ ესეც საკმარია. მე ჩემი სევდაც იმდენი დამიგუბდა, რომ ველარ მომინელებია, მაგრამ გამოჩენილა შორს ქვეყანაში ერთი ჩემი ძველი მეგობარი, რომელსაც გაჭირების დროს მოვგონებივარ და ჩემს წინად თხევს გულზედ მორეულ ბოღმას.

ბოლგარებში ერთს სახელად ვიკოს, ისე დავუმეგობრდი, რომ სული და გული გავაერთეთ, როდესაც იმისმა სამშობლომ ოსმალეთის მონების ტაბიკები დაამტვრია, ის მაშინვე თავის ქვეყანაში გაფრინდა და მას აქეთ იმისი აღარა გამიგია-რა. მხოლოდ ეხლა მოვგონებივარ და გუშინ, მოულოდნელად, იმისგან შემდეგი წერილი მივიღე:

„საყვარელო ძმაო,
დოუთ სოსლან!

გამოგიცდია, რას ჰგრძნობს კაცი, როდესაც ცივ შემოდგომის ღამეს დაჟინებული წვიმა უშენს თავ-პირში, ჩრდილოეთის ცივი ქარი მჭვლეტად უელის გულ-ღვიძლში და გზა დაბნეულმა აღარ იცის სად შეაფაროს თავი, მაგრამ შორს, სადღაც სინათლე ბჟუტავს და, იმედით გამხნევებული, უკანასკნელ ღონეს შეიკრებს და სინათლისკენ გაემართება; წარმოიდგინე რას იგრძნობს ის უბედური, როდესაც სითბოსი და სინათლის მაგიერ ზედ წაადგება უშველებელ ფლატოს, რომელშიაც გაგიჟებული მდინარე მოღრიალებს. სწორედ ამისთანა კაცის მდგომარეობაში ვარ ეხლა მე. იმ სრული უიმედობის და სასოწარკვეთილების დროს, როდესაც ჩემი სამშობლოს სული და ხორცი ოსმალეთის ჯალათების ხელში იყო, სცხოვრებდა, და ეხლაც სცხოვრებს ერთი თავის მამულის ღირსეული შვილი, რომელიც თავისი ზეგარდმო ნიჭით და ძლიერი კალმით აღვიძებდა ჩვენში იმედებს საუკეთესო მომავლისას. მე ამის კითხვაზედ აღვზრდილვარ, ყველაზედ დიდი კვალი იმას გაუვლია ჩემ ნორჩ გულში და იმისი ციური ჩანგის ჟღერას გამოუღვიძებია ჩემში ის წმინდა, ის კაცური გრძნობები, რომელნიც—ვინ იცის—უიმისოდ საუკუნო განსვენებაში დარჩებოდენ. მე ჯერ იმისი სახეც არ მენახა, რომ ის ყველაზედ მეტად და წმინდის გულით მიყვარდა. რასაკვირველია, ვინც უფრო გულით გიყვარს, ვიზედაც დიდი იმედი გაქვს დამყარებული, ყველა იმის მოქმედებას, ყველა იმის ნაბიჯს გაფაციცებით თვალყურს ადევენ, ყველა იმისი საკეთილო მოქმედება გახარებს და სწორე გზიდამ გადახვევა გაბოროტებს და გულზედა გხეთქავს. მაშა სადამე, შენ როგორც მეგობარი იმის უკეთესმართ ნაბიჯს, როდესაც სხვა ბრმა მოთაყვანენი პირმოთნეობით და ზოგნიც ბოროტი გულ მაცინრობით ტაშს უკვრენ, პირში სძრახავ და შეცდომას უჩვენებ. მოყვარეს პირში უძრახეო, ეს ხომ ჭეშმარიტებაა. შორიდამ მე ჩემი კერპი წარმოდგენილი მქონდა მტკიცე პრინციპის კაცად, რომელიც ანდამანტის ქვასავით იზიდავს ყველას რაც კი ჩემ ქვეყანაში საუკეთესო, საწადმართო ძალას წარმოადგენს და

ჩამოხდით, ან ტუსაღების როტაშია (арестантскія роты) გაგზავნილი, სასჯელი შუმტირდება ერთი მესამედით, ვინც ციმბირში, ან რუსეთის დაშორებულ გუბერნიებშია გაგზავნილი, ნება მიეცემათ ციმბირში გაგზავნილებს თხუთმეტი წლის შემდეგ და დაშორებულ გუბერნიებში გაგზავნილთ ათი წლის შემდეგ დაბრუნდენ და იცხოვრონ, სადაც ჭსურდეთ, სატახტო ქალაქების გარდა, ამასთანავე ერთხელ ჩამოხდილი უფლებები აღარ დაუბრუნდებათ. ვისაც უვადო კატორგა აქვს გადაწყვეტილი, იმას ოცი წლით დაენიშნება, და ვისაც ვადით კატორგა აქვს, იმას ერთი მესამედით შუმტირდება.

არც სახელმწიფო დამნაშავენი არიან უმაღლეს მანიფესტში დავიწუებულნი. იმათ შესახებ, შინაგან საქმეთა მინისტრს ნება ეძლევა იმ წესითვე შუმსუბუქოს კატორგა და ციმბირში დასახლება, როგორც საზოგადო დამნაშავეთ...

იმ წყალობათა შესახებ, რომელიც მიეფინება ფინლიანდიას, ცალკე მანიფესტი გამოიცემა.

ახალი ამბები.

≈ ახალქალაქის მაზრიდამ გვწერენ, რომ სოფელს სარომში მოუკლავთ ერთი გლეხ-კაცი რომელსაც წერილ-შეილი უპატრონდ დარხენია. მკედარი სოფლის მოშორებით ერთს ხევში ჩაუტანიათ და გამოქვაბულში დაუმალავთ, რომ ნადირს არ შეეჭამა. მასუკან მწყემსებს გამოეჩინათ ეს მკედარი. ექიმს კი შეუმოწმებია, მაგრამ მკვლელი ვერ აღმოუჩენიათ.

≈ «შრომასა» სწერენ ლაილაშიდამ, რომ მას შემდეგ, რაც სასამართლოები ლაილაშიდამ.ცაგერში გადაიტანეს, ეს დაბა ძრიელ დაეცა და მცხოვრებლებიც დიდს ზარალში ჩასცვივდენო. დაბა ისე დაცარიელდა, რომ სახლის პატრონებს იმის მეოთხედს სახლის ქირას არავინ აძლევს, რასაც უწინ აძლევდენ და ამ ამბავმა ძალიან შეაწუხა აქაური მცხოვრებლები.

≈ «ქავკაზი» გვაცნობებს, რომ როდესაც თ. დონდუკოვ-ქორსაკოვი მიბძანდებოდა მოსკოვში, გზაზედ, ქოზლოვის სტანციაზედ, გამოცხადდენ მასთან რამდენიმე ყაზიყუმუხელები მილიციონერების ტანისამოსში და სთხოვეს—იშუამდგომლოს მათთვის პატიება გვირგვინის კურთხევის გამო. ეს ყაზიყუმუხელები სრულიად მოხუცებულნი არიან და რუსეთში გაგზავნილნი 1877 წლის აჯანყებაში მონაწილეობის მიღებისათვის.

დღევანდელის უმაღლესის მანიფესტიდამ მკითხველი შეიტყობს, რომ ხელმწიფე იმპერატორს უნებია სრული განთავისუფლება იმ ჩვენის ქვეყნის მთიელთა, რომელნიც აჯანყების გამო დასჯილნი არიან.

≈ იგივე გაზეთი გვატყობინებს, რომ სომხების ქათალიკოზს მომავალ მაისზე ადრე ვერ ამოირჩევენო.

«დროების» კორესპონდენცია.

ხიზაბავრა. 12 მაისს. წელს მსუბუქი ზამთარი გვქონდა ბევრგან თოვლით არ იყო დაფარული ნნულები, ჯავახეთშიც თხლად იყო თოვლი რაცა დიდი თოვლია კარგი მოსავალი მოდის-ხოლმე, ხმელი სიცივეები იყო საზოგადოდ, გაზაფხულიც ცივად წავიდა: ქარმა დასთხარა, რაც მაღლობებზედ ჯეჯილი გადარჩენოდა სიცივეს სუსხსა ამის გამო მაისის ჯეჯლები უწინდელ აპრილის ჯეჯილებისა გვანან: ხერთვისა ხეობის ხილნარსა კი კარგი პირი უჩანს, იმედია ბარელები ხილით მაინც სარჩოს გაიჩენენ.

ზამთრით მოყოლებული დღემდის ადგა-ადგ სასადიც მუშაობს; ზოგს სამჯერ და ბევრსაც ოთხჯერ უბრუნდება და შეაქცევს ხოლმე. ვნება კი საამისოდ არსად სოფლებში არ მიუცია, თითო ოროლას გარდა, ამ სენის უმთავრესი მიზეზი არის გლეხების დგომა თავლებში, ბინძური და უწმინდური ჰაერი მეტადრე ჯავახეთში, სადაც წიგნების ქარხნები ხშირად გამრავლებულია! სოფლებში ნუხვ და ნაგავი კარ წინ უყრიათ, ქარი იშვიათად ხვდება იმ ადგილებს სახადთან ერთად მეიკვანა ხველა გასშირებულია და ბევრი ბავშვი შეიწირა.

ახალ ქალაქის მაზრის უფროსმა ს. სუმბატოვმა ჯეროვანი ყურადღება მიაქცია ჯავახეთის სოფლებსა, ნამეკლები სოფლის გარეთ გაატანინა.

როგორცა სჩანს საქმეებიდგან, ჩვენის ახალ ქალაქის მაზრის უფროსი კარგი ახალგაზდა ენერგიული კაცი უნდა იყოს, თითქმის ყველანი ეშადრიელებიან, ამბობენ: უწინდელ მაზრის უფროსებს რომ გადაურჩით, ახლა ადარა გვიშავს-რაო, ნელ-ნელა თვალთ სინათლე მოგვეცა. იმედია ყოველს ჩვენს გაჭირვებაში ნუგეში არ მოგვაკლდებაო. მაგრამ მე ცოტა ვიჭვნეულებ, ისეთი სომხობა არის მის კანცელარიაში ფეს შედგმული რომ დიდი სიკეთე არა იქმნება-რა, თუ ცვლილება არ მოხდება. სოფლის სომხის გლეხობა ხომ რაღა; მეტად მოუსვენარი ხალხი არის! ერთმანერთთან სოფლებს და მეზობლებს ჩხუბი კამათი, კინკლაობა ეხალისებათ, არც მსაჯულსა აქვს მოსვენება და არცა რა მაზრის უფროსს.

ჩვენის ქვეყნის ჰაერის შეცვლის მიზეზი უმთავრესად ტყის გაკაფვას უნდა დაბრალდეს. ჩვენი სამესხეთოს უზარმაზარ ტყის განადგურება მარტო მცხოვრებთაგან გაკაფვას არ უნდა მეუწერონ. ეს წარმოსდგა უფრო მალ-მალ შემოსეულ მტერთაგან. შემოსევის დროს ტყეები უწვიათ, ბაღჩა-ვენახები უკაფნიათ და ამ რიგად გატიალებულა ჩვენი ძვირფასი ტყე და ხილნარ-ვენახები. ეხლაც ჩვენ არა თუ ტყეებს ვამრავლებთ, არამედ სცა ბუჩქნარი მოიძევა, ძირიანად ვსთესრით. და ვატიალებთ.

ახალ ქალაქის მაზრაში მეტის მეტი სიგიწროეა მამულებისა და ამიტომ ხშირად მოსდით ხოლმე ერთმანერთში სხვა-და-სხვა სოფლელებს უსიამოვნება. ასეთი ვიწროებისა და შეწუხების მიზეზი ჯავახეთში ჩაუნებულ სომხობის ბიმრავლეა. დიდი სიკეთე ექნება-რომ ამათ ერთად თავს მოუყრიდენ-ეარ-ეარ-ეკენ და დაასახლებდენ და ადგილობრივ მცხოვრებთ დაუთმობდენ ისევ თავიანთ მამაპაპის ადგილს.

ვინმე მესხი.

წერილი რედაქტორთან.

(საზოგადოების საყურადღებოთ).

ამ თვის 25 არის დანიშნული წლიური კრება წევრთა ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა. როგორც ამ საზოგადოების ერთ წევრთაგანს, გული არ მითმენს გავჩუმდე და უჩვეული კალმით არ უსაყვედურო ამ საზოგადოების მმართებლობას და მეტადრე იმის წევრებს.

საკვირველია ქართველი კაცის დაუდევრობა! ეველა საქმეს აღტაცებით და თავ-მოწონებით მიეგებება, ფულსაც არ დაიშურებს და უხვად მისცემს, თუ კი ექნება, მაგრამ საქმე კი მალე მობეზრდება, მეტადრე როდესაც ორი სამი წელი გაივლის. ამ ბოლოს დროს დაარსებულ სხვა-დასხვა ქველ-მომქმედ საზოგადოებათა შორის ყველაზე უბედობა დაემართა ზემო-ხსენებულ საზოგადოებას, თუმცა ეს საზოგადოება თავის მიზნით უკან არ ჩამოუტოვებია სხვა ამ გვარ საქმეებს და მგონია კიდეც რომ ეერთმანეთოთ ეს საქმეები არც ხეირიანად წავა.

ოთხი წელიწადია რაც დაარსდა ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოება და არც ერთხელ პირველ დანიშნულზე წლიური კრება არ მოხდარა, რადგან წესდებულების ძალით კრება შესდგება მხოლოდ მაშინ როდესაც არა ნაკლებ ორმოცდა ათი წევრისა მაინც დაესწრება. ეხლა წარმოიდგინეთ რომ სამასზე მეტ წევრებ შორის ორ-მოც და-ათი კაცი არ მოიპოვება ჩვენ ქალაქში, რომელთაც თუ საქმე საყურადღებოთ

მეთაურობას უწევს. წარმოიდგინე ჩემი ნაღველის გასიება, როდესაც ჩემი თაყვან-საცემი გმირი დამხვდა გარშემორტყმულს მარტო უნიჭოებით, გაქნილი მუშაითებით, რომელთაც მუქთი სადილისთვის ყოველთვის სარტყელი მოშვებული დააქვთ, ყანწების ასაწევად ულვაშები დაუწკეპიათ და სამრავალჟამიეროთ ყელი მუდამ ამოწმენდილი აქვთ... აღმოჩნდა, რომ მთელ თავის სიცოცხლეში მარტო უტვინოები, ცრუ-პენტელები და ყველა ყარტა-ყურტა ყმაწვილების შემწე დამფარველი ყოფილა და არც ერთი ნიჭიერი ყმაწვილისთვის მეგობრულად ხელი არ გაუწვდია. ეს და ზოგიერთი სხვა მისი შეცდომა მე ვერ დავმალე და პირ უთნეველად გავკიცხე. ის შენს მტერსა და დუშმანს, რაც მე იმისმა მეფერხულებმა, ანუ, როგორც ძველი სლავიანები ეძახდენ, იმის კარის челядь-მა და смердьებმა მე დღე დამაყენეს!.. ხა, ხა, ხა! ხი, ხი, ხი! ხითხითებენ ისინი და ურცხვი, ლაშფანდურა დიაცებივით თავ-წართმეულ განგაშით დამდევენ უკან. საიდანღაც გუშინ მეთრა, ჯერ არც კი ვინმე იცნობს და პირ-და-პირ ჩვენ დიდებულს მილოშს გაუმკლავდა: შენი ალაგი მე დამითმე და მეთაურობაც მე ჩამაბარეო. სპილოსი და ბოშიას ზღაპარი არ იცით? სწორეთ იმას მოგვაგონებს მაგისი შეტაკება. ხა, ხა, ხა! ხი, ხი, ხი! და სხვ. პატივცემული მილოშიც, რომელ მაც ჩემი გულ-წრფელობა ვერ დააფასა, მოშორებით სდგას, თავ-მოწონებით ულვაშს იგრეხს და სრული კმაყოფილია თავისი ოთხ-ფეხების სიმრავლისა და სიკაპასისა, ის კი არ იცის დალოცვილმა, რომ ეს ოთხ-ფეხები იმ ჯიშისანი არ არიან, რომელიც ყველა განსაცდელში თავის პატრონს არ უღალატებს და სიკვდილამდე ერთგულია. აბა ერთი ის სუფრის ნახორხალი გამოელიოს, რითიც ამათა ჰკვებავს, თუ მაშინვე სხვა პატრონი არ მონახონ და ძველს დაუნდობლად კუჩა არ გამოაჭამონ?!..

ჩემი მეგობარი კიდევ აგრძელებს თავის წერილს, მაგრამ მკითხველისთვის საინტერესო აღარაფერია და აქ უნდა შევწყვიტო. ხომ ჰხედავთ ეხლა რას შეუშფოთებია ჩემი შორეული მეგობარი. იტყვით სულელი ყოფილაო, მაგრამ ეს უსამართლობა იქნება. სულელი კი არა და ის მხოლოდ ჯერ სულით უმანკო და მეტის-მეტი იდიალისტი ყოფილა. დააცადეთ, ცხოვრება მოსჯეჭკავს, ისიც სხვასავით გაიქნება და მერე ამისთანა უბრალო რამე კი არა, თვალ-წინ, რომ მშობელი დედა დაუკლან წარბსაც აღარ შეიხრის. მე, რასაკვირველია, ორიოდ სანუგეშო სიტყვა მივსწერე და ჩვენი შოთას შემდეგი სიტყვებით გავუთავე:

«ესე ამბავი ჩემ თავსაც
არ ახალია, ძველია;
კარგი რამ გჭირდეს, გიკვირდეს,
ავი რა საკვირველია»!

***

უკაცრავად, ეხლა-ღა მივიხედე უკან და დავინახე, რომ დიდი ალაგი მიძღვნია ჩემის მეგობრის წერილისთვის და «საკისრულოდ» ცოტა-ღა დამრჩენია. ღვთის წინაშე, «საკისრულო» ამ კვირია თითქმის არა მოხდარა-რა, არამც თუ ჩვენში, რუსეთშიაც. ეს მთელი კვირა შევსწირეთ იმისთანა დიდს და უმაღლეს საგანს, რომ მეფელტონეს კალამი ვერ შეეხება: მე მოგახსენებთ ხელმწიფე იმპერატორის დაგვირგვინებაზედ. თუმცა ჩვენი ქალაქის «ხაზეინებმა» ფართი-ფურთი დიდი გასწიეს, მაგრამ როგორც თბილისს შეეფერებოდა, ეს დღესასწაული ისე ვერ გადიხადეს. თუ სხვა რამე დიდი საქმით საშვილი-შვილო მოსახსენებლად ვერ გახადეს ეს დღე, მგონია მეტი არ იქნებოდა, რომ პატარა გულ-უხვად გაეკრად ჯიბეს, ხელი და თბილისში მდგომი ჯარის კაცებს ცოტა რითიმე გამასპინძლებიყვნენ. ეს მით უფრო სამართლიანი იქნებოდა, რომ ეს ჩეჩეტურა და

არ მიაჩნიათ ის მაინც იკითხონ თუ იმათი საწევრო ფული სად მიდის. როდესაც მაისის დამლევს დანიშნული კრება არ მოხდება ხოლმე, (თუმცა ბევრს თითქმის კალთებს ახევენ და ისე მიჰყავთ კრებაზედ) მაშინ წესდებულების ძალით მეორე კრება შვიდ დღეზე ადრე არ დაინიშნება და თუნდ რომ მხოლოდ საზოკადოების მმართებლობა და ორი ან სამი წევრის მეტი არ იყვნენ, კრება მაინც ჩაითვლება შედგენილათ. ამიტომაც თიბათვის დამდეგს ყოველთვის წლიური კრება ისე უხეიროდ და უმნიშვნელოდ ჩაივლის ხოლმე, რომ პირში ნერწყვი გვიშრება და საზოგადოების მმართებლობის წინ ხმას არ ვიღებთ. ან რა გვეთქმის იმათ წინ, ვისაც ხვეწნით და მოწიწებით ვეხვეწებით საქმეს თავს ნუ დაანებებთო და იმათ ჩივილს, რომ დრო არა გვაქვს, ვერას გაგიკეთებთო,—ჩვენ ყურსაც არ ვათხოვებთ, უმთავრესი მიზანი ამ საზოგადოებისა უნდა იყოს სახელმძღვანელო და საყმაწვილო წიგნების გამოცემა და დასაწყისი სკოლების, უფრო სოფლებში, გახსნა იმათი გამოცემული სახელმძღვანელო და სასწავლებელი წიგნები არსად არა სჩანს. საყმაწვილო წიგნებიც სახსენებელი არა გამოსულა-რა ამ ოთხ წელიწადში. რაც შეეხება სოფლის სკოლებს არც ეს საქმეა თურმე ხეირში. ბაზეთებში გაკვრით მოხსენებული იყო, და ნებას არ აძლევს წერა-კითხვის საზოგადოებას იმის პრაგრამმით სკოლების გახსნას. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ წერა-კითხვის საზოგადოებამ შარშან გამოაცხადა რომ თუ სოფლები ამა და ამ წესით შემოიტანენ ჩვენ საზოგადოებაში თავიანთ გადაწყვეტილებას სკოლის მიერ ჩვენ უპატრონებთო და გაუხსნითო სკოლასო. მართლა და ზოგი სოფელი წახალისებულია და შეუტანიათ თავიანთი გადაწყვეტილება: ფული ჩვენი იყოსო და თქვენ გვიპატრონეთო და გაგვიხსენითო სკოლაო.

მაგრამ მე, ურწმუნოს, მგონია ჯერ ბევრი ჩაილულის წყალი ჩაივლის, სანამ ზემოხსენებული დაბრკოლება წერა-კითხვის საზოგადოების შორის გათავდეს. თითქმის ერთი წელიწადია რაც ბ. იანოვსკიმ აღუკრძალა ამათ სკოლის გახსნა და საზოგადოების მმართებლობას მას აქეთ რა განკარგულება მოუხდენია ჯერ არ ვიცით, იქნება წლიურ კრებაზე ჩვენდა სასიამოვნოდ გამოგვიცხადონ რომ ამ საქმეს გულ გრილად არ მოჰკიდებიან და მხოლოდ ერთმანერთში ლაპარაკით კი არ გაუთავებიათ, არამედ ყოველი ღონისძიება უხმარიათ რომ სოფლელებს არ შეამჩნევინონ თავიანთი უძალობა და დაუდევრობა. უთუოდ «საზოგადოება» ისარგებლებდა თავად დონდუკოვ-ქორსაკოვის მოსვლით, რადგან ხუთი-ექვსი თვის განმავლობაში იმათ დრო ბლომად ჰქონდათ თავიანთში მოელაპარაკნათ და საჩივარიც მიერთმევინათ თავად დონდუკოვ-ქორსაკოვისათვის; იქნება სამართალიც იპოვეს, ამას ყველაფერს შევიტყობთ კრებაზე.

ნუ თუ წრეულსაც ამ კრებას ის ბედი დაემართება რაც აქამდის. საკვირველია უსაქმო ლაპარაკში ჩვენ არავინ გვაჯობებს, ზეცაში ვარსკვლავებს ვეტანებით, მაგრამ როცა საქმეზე მივარდება, მაშინ ენაც კი მუცელში ჩაგვივარდება. ბოროტი კაცები გვირჩევენ წევრების შესაგროვად ბლდანელი მოვიწვიოთ, რადგან ბლდანელი ეხლა ერთ ერთი ანდამატია, რომელიც ჩვენ საზოგადოებას დაუზარებლად იზიდავს.

ერთი წევრთაგანი.

კიდევ «შრომას».

პატივცემულმა «შრომამ» თავის უკანასკნელ ნომერში ბანკრუტობა გამოაცხადა. ბანკრუტობა, როგორც მოგეხსენებათ, ორ გვარია: ერთი, რუსები რომ იტყვიან злостное банкротство, ანუ განგებ გაკოტრება—ავკაცობად ჩაითვლება. ამ შემთხვევაში გაკოტრებულს თავის ქონების დამალვა ბრალდება, რომ თავის მოვალეებთან გასწორება აღარ მოუნდეს. ღმერთმა გვაშოროს,—ჩვენს თანამოძმეს ამ გვარი უკადრისი საქციელი დაეწამოთ. ჩვენ უფრო ისა გვჯერა, რომ «შრომას» მეორე გვარი ბანკრუტობა დაატყდა თავსა, ე. ი. მართლა გაღარიბდა და რაკი საქმე ასეა, შებრალებისა და თანაგრძნობის მეტი აღარა ვადგება-რა ენაზედ.

«შრომა» აცხადებს:

«დღეს ჩვენ ერთობ ღარიბი ვართ (ვწუხვართ, ჭეშმარიტად ვწუხვართ!) ახალის ამბებით და კიდევ შენიშნვა უნდა ვუძღვნათ მკითხველებს და კიდევ «დროებაზედ».

ვჯერა, რომ ეს სიტყვები თვით ჭეშმარიტებაა და თანაც ვმადლობთ პატივცემულ რედაქციას, რომ გაჭირვებაში ჩვენ არ დაგვივიწყა და ოთხიოდ ახალი ამბავი, ანუ, მართალი რომ ვთქვათ, ნახევარ თითქმის ნომერი, ჩვენ გვიძღვნა.

საქებურია პატივცემული რედაქცია აგრეთვე იმ სულ-გრძელებისათვის, რომელიც მან ამავე ნომერში გამოიჩინა. სიღარიბით შეწუხებულმა თავისი თავი დაივიწყა და ექილად დაუდგა არა ნაკლებ პატივცემულს გამომცემელს ზაქარია ჭიჭინაძეს. ეი «შრომის» ექილური სიტყვა, დაბეჭდილი ამავე ნომერში:

«დროებას» შეუტყვია, რომ ამ მოკლეს ხანში თბილისში გაიხსნება ქართული წიგნების ახალი მაღაზია...

«დროებას» და ჩვენც, რასაკვირველია, გვსურს, რომ ეს ამბავი გამართლდეს. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვდა რომ «დროებას» ისე აგდებით ლაპარაკი არ დაეწყო ბ. ჭიჭინაძისა და მისი ამხანაგების დაფუძნებულს წიგნის მაღაზიაზედ (უკაცრავად, ბოდიშს ვიხდით. ან მართლაც და როგორ გავბედეთ!) და გამომცემლობითს მოღვაწეობაზედ. ეს ათი წელიწადია, (давность-ისა მაინც რატომ არ შეგვრცხვა!) რაც ზ. ჭიჭინაძემ და მისმა ამხანაგებმა ეს მაღაზია გახსნეს და წიგნების გამოცემა დაიწყეს. ჩვენ მაშინაც და ეხლაც დიდ სიამოდ ნიშნად მიგვაჩნია (მაშინაც მიგვაჩნია — გრამატიკის ახალი ფორმა უნდა იყოს!), რომ ამისთანა კაცებმა, რომელთაც არავითარი სწავლა არ მიუღიათ და რომელთაც ჯიბეში ერთი კაპეიკი არ ჰქონიათ, ამ გვარი საქმე გამოიწყეს და აქამდის შეძლებისამებრ დაუღალავად მიუძღვიან ამ საქმეს. ვგონებთ საჭირო არ იყოს-

კორესპონდენციებით, ისტორიისა და არხეოლოგიის შესახების შენიშნვებით და ფელეტონებით გადაჭრელებულია დროება ამ ათის წ. განმავლობაში (კიდევ შეგვრცხვეს давность-ისა) და ჩვენ უსამართლოდ და ძალიან სამარცხვინოდაც (ეს როგორ იკადრეთ?!) მიგვაჩნია, რომ ნასწავლმა კაცებმა ამ ბატარას და შეძლებისამებრ მამულის მოსამსახურე კაცზედ უპირატესობის გამოჩენა განიზრახონ და მეტადრე იმისთანა კაცებმა, რომელნიც გუშინ მას გვერდით უდგნენ.»

უკანასკნელი შენიშნვა ძველს რედაქციას შეეხება, მაგრამ „შრომის“ მჭევრ-მეტყველებით გატაცებულნი ბოდიშს ვიხდით ბ. ზ. ჭიჭინაძესთან და «შრომის» რედაქციასთან ჩვენის მხრივაც, ძველის რედაქციის მხრივაც, ერთის სიტყვით ყველას მხრივ და სულის სისწრაფით მოველით «შრომის» შემდეგს ნომერში „მიკროსკოპიულ ორგანიზმების“ დასაცავად მსგზავსსავე მჭევრ-მეტყველურს სიტყვას.

განცხადებანი

მმართველობა «ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა» ამით აცხადებს, რომ 25 მაისს, საღამოს ექვს საათზედ საათავადაზნაურო სკოლის დარბაზში იქმნება წლიური კრება „საზოგადოების“ წევრთა.

კრების განსახილველად შემდეგი საგნებია დანიშნული:

1) მოსმენა და დამტკიცება „საზოგადოების“ საქმეთ-წარმოებისა 15 მაისიდამ 1882 წ. 15 მაისამდე 1883 წლისა.

5) მოსმენა და დამტკიცება მომავალის წლისათვის შედგენილის საკარაულო შემოსავლის და დასახარჯის ფულის სიისა—და

3) საზოგადოების ახალ წევრთ აღმორჩევა.

ბბ-ნი წევრთ იქვე შეუძლიანთ შემოატანონ მათ მიერ-ხვედრი წარსულის წლის საწევრო ფული. (8—2)

თბილისის პიროტყვთა დამცველი საზოგადოება მოიწვევს თავის წევრებს საზოგადო კრებაზედ 20-ს ამ მაისს $7^1/_2$ საათზედ ბარიატინსკის ქუჩაზედ, ალექსანდროვის ბაღში. მსურველთ შეუძლიანთ დაესწრონ.

საგნები სხდომისა:

1) ქონკურსის დანიშვნა პრემიაზედ, ვინც უკეთეს თხზულებას დასწერს ფოშტის ცხენის მოვლაზედ და

2) სასარგებლო ფრინველების დაცვა და სხვ. (3—1)

თბილისის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკისა.

მმართველობა თბილისის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო-ბანკისა, ბანკის წესდების მე-15 § ძალით—17 თებერვალს 1881 წ. ამით აცხადებს, რომ ივნისის 20-ს ამ 1883 წ. შუადღის 12 საათზედ, თბილისში, ბანკის სადგომში, სოლოლაკის ქუჩაზედ თ. ბრუზინსკის სახლებში, № 13, იქნება გასყიდვა უძრავ ქონებათა „უპერეტორ-ქკოთ“ ქვემოთ მოხსენებულ პირთა, რადგანაც თავის დროზედ არ შემოუტანიათ ხვედრი ფული, რაც დაწესებულია ბანკის წესდების 13, 14, 15, 17, 18 და 19 პარაგრაფებით.

ქანანოვები, მაგდალინა ვეტრეს ასული და ნიკოლოზ დავითის-ძე. სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი, სარდაფებით, თან ადგილი $190^1/_2$ ოთხკუთხი საჟენი და 1 არშინი და 188 ოთხ-კუთხი გოჯი. 1 უბასტკაში 1 განყოფილებაში ქ. ტფილისს, დავიდოვის და კამენდანტის ქუჩა. თავნი ვალი 47,240 მ. 93 კ. დარჩენილი 3170 მ. 90 კ. სულ 50,411 მ. 83 კ.

მალალაშვილისა, მარიამ დიმიტრის ასული. ოთხი ორ-სართულიანი სახლი, ხუთის ერთ-სართულიანის ფლიგელით და სარდაფი 958 კვად. საჟ. ქ. ტფილისში, მე-6 უბასტ. 1 განყოფ., დამოუნის ქუჩაზედ. თავნი ვალი 46, 088 მ. 72 კ. დარჩენილი 5410 მ. 94 კ. სულ 51,499 მ. 66 კ.

ლიაშენკო, სვიმონ მოსეს-ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, უველა განწყობილებით, ადგილის ზომა 200 კვად. საჟ. ქ. ტფილისში, მე-7 ავლაბრის უბასტ. 2 განყოფ. თავნი ვალი 5761 მ. 9 კ. დარჩენილი 298 მს 20 კ. სულ 6059 მ. 29. კ.

ტერ-მიქელოვი, ასლან გაბრიელის-ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ბაღი, ადგილის ზომა 500 კვად. საჟ. ქ. ტფილისში, ოლგინსკაგზა-ტკეცილზედ, ჯვრის მახლობლად. თავნი ვალი 6721 მან. 27 კ. დარჩენილი 345 მ. 90 კ. სულ 7067 მ. 17 კ.

სულხანოვისა, მარიამ ივანეს ასული. ა) ერთ-სართულიანი ქვის დუქანი ბაღაგანით, ბ) ორი სამ-სართულიანი დუქანი, ორი ორ-სართულიანი ქვიდუქნები და გ) თერთმეტი თითო-სართულიანი ქვის დუქანი 276 ოთხკუთხი საჟ. და 7 არშინი მაწით. ქ. ტფილისში ა) მეშვიდე ნაწილში და ბ) მე-14 ნაწილში 2 განყოფ. თავნი ვალი 24,130 მან. 80 კ. დარჩენილი 2220 მ. 96 კოპ. სულ 26,356 მან. 76 კ.

მირიმანოვი, ისაკ ზაქარიას-ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ბაღი, ადგილის ზომა 1488 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისში, მე-13 ვარანტოვის უბასტკაში, მესამე განყოფ. თავნი ვალი 4032 მ. 77 კ. დარჩენილი 212 მ. 34 კ. სულ 4245 მ. 11 კოპ.

ბეჟანბეგოვისა, ალექსანდრა თომას ასული. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და დანარჩენის განწყობილებით. ადგილის ზომა 44 ოთხ-კუთხივ საჟ. ტფილისში, მე-3 ნაწილში, პირველს განყოფ., წყლის საზიდ ქუჩაზედ. თავნი ვალი 6721 მ. 26 კ. დარჩენილი 397 მ. 92 კ. სულ 7669 მან. 20. კ.

გაბუნია, მერაბ იაგორის-ძე. ორ-სართულიანი სახლი დუქნებით, ადგილი 125 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. გორში. თავნი ვალი 3733 მ. 75 კ. დარჩენილი 315 მ. 15 კ. სულ 1049 მ. 90 კოპ.

ვარნეკ, ბარბარე იაგორის ასული. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, მეზონინით ადგილის ზომა 106 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისში, მე-9 ნაწილში, მე-2 განყოფ. თავნი ვალი 2905 მან. 87 კოპ. დარჩენილი 239 მ. 7 კ. სულ 3144 მან. 94 კოპ.

კოშორიძენი, გიორგი და დავით ალექსანრეს-ძენი ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი მეზონინით და მოწყობილობით. მიწა ზომით დაახლოებით 217 ოთხ-კუთხი საჟ. მე-3 ნაწილში 1-ს განყ. ქ. ტფილისში, თავნი ვალი 19,759 მან. 90 კოპ. დარჩენილი 1504 მ. 92 კოპ. სულ 21,264 მ. 82 კ.

სვანდიერიანისა, ანნა აგაპარუნის ასული. ორ-სართულიანი ქვითკირის შენობა, სარდაფის სართულით და სამი ფლიგელი ეოვლის განწყობილებით. ადგილის ზომა 325 ოთხ-კუთხივ საჟ. ქ. ტფილ. მე-4 ნაწილში, 1 განყ. № 63. თავნი ვალი 26,559 მ. დარჩენილი 1966 მ. 91 კ. სულ 25,526 მ. 84 კ.

ბერძენოვისა, დარია გიორგის ასული. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ორიც ორ-სართულიანი ფლიგელი, რომელთაც უკირამთ ადგილი 110 ოთხ-კ. საჟ. ქალაქის (უბასტ.) განყოფილება, მოსკოვის ქუჩის ზეით. თავნი ვალი 6974 მ. 8 კ. დარჩენილი 524 მ. 40 კ. სულ 7498 მ. 48 კ.

თორაქოვი, დავით ადამის-ძე. ორ-სართულიანი ქვითკითის სახლი სარდაფით და ორი ორ-ორ სართულიანი ქვითკირის ფლიგელებით ეველა თავისი კუთვნილებითა. ადგილი 400 ოთხ-კ. საჟ. 7 უბ. ავლაბრის მეიდანზედ. თავნი ვალი 17,435 მ. 21 კ. დარჩენილი 1038 მ. 77 კ. სულ 18,473 მ. 98 კ.

ჩოლაყაშვილისა, სოფიო კოსტ. ასული ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით. ადგილი 68 ფ $^3/_4$ ოთხ-კ. საჟ. ორბელიანის ქუჩაზედ. თავნი ვალი 6843 მ. 64 კ. დარჩენილი 409 მან. 70 კ. სულ 7263 მ. 34 კ.

ეარაკი, ანდრია ოსიპის-ძე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და ეველა კუთვნილობით. ადგილი 104 ოთხ-კ. საჟ. 5 უბ. 1 განყოფ. ქათოლიკების ქუჩაზედ. თავნი ვალი 24990 მ. 48 კ. დარჩენილი 1896 მ. 38 კ. სულ 26,886 მ. 86 კ.

მნაწაკანოვი, ნერსეს ბუღდანის-ძე. ერთ სართულიანი ქვის სახლი სარდაფით, ფლიგელი და ოთხი დუქანი სარდაფებით, ზომა ადგილისა 110 ოთხ-კუთხი საჟენ. 7 უბ. 2 განყოფილება ავლაბარში. თავნი ვალი 5811 მ. 74 კ. დარჩენილი 351 მ. 22 კ. სულ 6,162 მ. 96 კ.

შაიკოვი, იგიეე ტერ-დავიდოვი, ოთხ-სართულიანი ქვითკირის სახლი მინით 52 ოთხ კუთ. საჟ. მე-5 უბ. 1 განყ. ბოლიციის ქუჩაზედ. თავმი ვალი 7755 მ. 27 კ. დარჩენილი 440 მ. 99 კ. სულ 7,996 მ. 26 კ.

კეგამოვი, არსენ სულთანის-ძე. ერთ-სართულიანი სახლი სარდაფით და ფლიგელით და ხეხილისა და კაზის ბაღი, ზომა ადგილისა 3642 ოთხ-კუთხი საჟენი ქალ. ერევანს. თავნი ვალი 9686 მან. 23 კ. დარჩენილი 489 მან. სულ 10,175 მ. 23 კ.

გოზადოვი, გრიგოლ ეგორის-ძე. სამ-სართულიანი ქვის სახლი სარდაფით, ეველა მოწყობილობით, ზომა ადგილისა 84 ოთხ-კუთხი საჟენი, მე-6 უბ. 1 განყოფ. ქ. ტფილისს. თავნი ვალი 12,536 მ. 37 კ. დარჩენილი 1,155 მ. 79 კ. სულ 20,692 მ. 16 კოპ.

ბურდულოვი, ალექსანდრე სოლომონის-ძე. ერთ-სართულიანი ქვის სახლი, მეზონინით და ორი თავლა, ზომა ადგილისა 600 ოთხ-კუთხი საჟენი მე-11 უბასტკ., 1 განყოფილებაში ქ. ტფილისს. თავნი ვალი 3167 მ. 69 კ. დარჩენილი 214 მ. 78 კ. სულ 3,382 მ. 41 კოპ.

არნაუტიანცი, გრიგოლ ოსიფის-ძე. სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით. ადგილი, 14 საჟ. და $2^1/_2$ არშ. ოთხ-კუთხ. ს. 3 უბ. 1 განყოფ. თავნი ვალი 3,907 მ. 27 კ. დარჩენილი 202 მ. 40 კ. სულ 4,109 მან. 67 კოპ.

გაბაშვილი, ალექ. ზაქარას-ძე. ორ-სართულიან ქვის სახლი ფლიგელით, სარდაფით და სხვა შენობებით, ზომა ადგილისა 160 ოთხ-კუთხი საჟენი, 1 განყოფილებაში, 1 უბასტკ., ქ. ტფილისს, მოსკოვის ქუჩაზე. თავნი ვალი 6579 მ. 8 კ. დარჩენილი 233 მ. 76 კ. სულ 6812 მ. 84 კ.

ბარათოვი, ნიკოლოზ გრიგორის-ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი თავის განწობილებით და დუქნებით. მიწა ზომით 1382 ოთხ-კუთხი საჟ. მე-6 ვორონცოვის ნაწილში 1-ს განყ. ქ. ტფ. თავნი ვალი 8,791 მ. 37 კ. დარჩენილი 652 მ. 16 კ. სულ 9433 მ. 53 კ.

ციციანოვი, გიორგი ივანეს-ძე. სახნავი, სათიბი, საძოვანი და ტყე, სულ $967^1/_2$ დესიატინა, ტფილისის მაზრა, ბორჩალოს უბასტკა. თავნი ვალი 15,787 მ. 63 კ. დარჩენილი 1,006 მ. 52 კ. სულ 16,794 მ. 15 კ.

ერისთავი, ლუარსაბ ალექსანდრეს-ძე. სახნავი ადგილები ზომით 101 დესიატ. და 1,600 ოთხ კუთხი საჟ. ტფ. გუბერ., გორის მაზრაში, სოფ. ნაწრეტი. თავნი ვალი 1,973 მ. 46 კ. დარჩენილი 139 მ. 76 კ. სულ 2,113 მ. 22 კ.

მელიქოვი, ივანე ალექსანდრეს-ძე. სახნავ-სათიბი და საბალახე ადგილე-